

შ.პ.ს. „N1 სკოლა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება

2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ზოგადი ინფორმაცია

შპს N1 სკოლა დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 1996 წლის 10 სექტემბერს. (ს.კ. 212690729) მისი საქმიანობის ადგილია ქ. ქუთაისი, ი. აბაშიძის 13ა. კომპანიის საქმიანობის სფეროა „ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს-ფასს), ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ

კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ასეთი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს, მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს პროდუქციის მარაგებს, რომელიც განკუთვნილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება მიმდინარე საბანკო ანგარიშებისაგან და ნაღდი ფულის ნაშთებისაგან.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია

მიმდინარედ და გრძელვადიანად

საწარმო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალ-ცალკე ასახავს მიმდინარე და გრძელვადიან აქტივებს, ასევე მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებს,

აქტივი მიმდინარეა, თუ:

- ❖ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ❖ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;

- ❖ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.
- ❖ საწარმო ყველა სხვა აქტივებს მიაკუთვნებს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- ❖ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ❖ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში;
- ❖ არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.
- ❖ საწარმო სხვა ყველა ვალდებულებას მიიჩნევს გრძელვადიან ვალდებულებად.

ამონაგების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად. კომპანია საქმიანობს განათლების სექტორში და მისი ძირითადი შემოსავლები შედგება სწავლის ღირებულებისგან.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო ხარჯების აღიარებას ასევე არასაოპერაციო ხარჯებს. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე. ფინანსური აქტივის აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურება.

რისკების მართვა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ. კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

კომპანიას მიზნად აქვს ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა .

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ❖ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის;
- ❖ პერიოდის საქმიანობის შედეგების, მოგება-ზარალის ანგარიშგებას;
- ❖ პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
- ❖ პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10370	121835
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19005	20056
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	47918	27562
სხვა არამატერიალური აქტივები	8876	0
ძირითადი საშუალებები	942837	962716
სულ აქტივები	1029006	1132169
ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	242	242
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	146384	79930
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	505479	660144
სულ ვალდებულებები	652105	740316
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	117004	117004
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	259897	274849
სულ საკუთარი კაპიტალი	376901	391853
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1029006	1132169
სულ მოკლევადიანი აქტივები	3330	3668
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	242	242

დირექტორი:

გ. გოქაძე

ბუღალტერი:

თ. ნამგალაძე

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	413040	386300
მომსახურების გაწევიდან	413040	386300
საერთო მოგება	413040	386300
დასაქმებულთა ანაზღაურება	-158435	-159270
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-72085	-54135
საპროცენტო ხარჯი	-33586	-41741
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-169497	-67955
სულ საოპერაციო ხარჯები	-433603	-323101
საოპერაციო მოგება	-20563	63199
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-254286	-79930
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-274849	-16731
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-274849	-16731
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-274849	-16731
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	391853	64050
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	259897	344534
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	376901	391853

დირექტორი:

გ. გოქაძე

ბუღალტერი:

თ. ნამგალაძე

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	419221	137898
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-530686	-79930
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-111465	57968
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	121835	63867
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10370	121835

დირექტორი:

გ. გოქაძე

ბუღალტერი:

თ. ნამგალაძე

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტება

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

შპს „N1“ სკოლის ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით.
მათი სტრუქტურა შემდეგია:

N	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31.12.2023წ მდგომარეობით
1	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	9747
2	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	623
	სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10370

გრძელვადიანი აქტივები

N	დასახელება	ისტორიული ღირებულება	2023 წლის დარიცხული ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 31.12.23
1	მიწა	122395		122395
2	შენობა - ნაგებობა	1089936	54496	727148
3	ძირითადი საშუალებები (წიგნადი ფონდი)	30526		30526
4	მანქანა დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა	169910	15814	62768
	სულ ჯამი	1412767	70310	942837
1	სხვა არამატერიალური აქტივები(ავტორიზაცია)	10651	1775	8786
	სულ ჯამი	10561	1775	8786

მიმდინარე აქტივები

N	დასახელება	31.12.2023წ მდგომარეობით
1	მომსახურებიდან მოთხოვნები	15675
2	საგადასახადო მოთხოვნები	3330
3	სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	47918

ვალდებულებები

ვალდებულებები მოიცავს, როგორც მიმდინარე მოკლევადიან ვალდებულებებს ასევე გრძელვადიან ვალდებულებებს. მათი სტრუქტურა შემდეგნაირია:

N	დასახელება	31.12.2023წ მდგომარეობით
1	საგადასახადო ვალდებულებები	242
2	მოკლევადიანი ვალდებულებები	146384
3	გრძელვადიანი ვალდებულებები	505479
	სულ ჯამი	652105

შემოსავლები

მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები მოიცავს როგორც, მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით მიღებულ სახსრებს სწავლის დასაფინანსებლად, ასევე ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებულ შემოსავლებს და საიჯარო შემოსავლებს.

N	დასახელება	31.12.2023წ მდგომარეობით
1	შემოსავლები მომსახურებიდან	408240
2	შემოსავლები იჯარიდან	4800
	სულ ჯამი	413040

ხარჯები

ხარჯები მოიცავს, როგორც საოპერაციო ხარჯებს, ისე არასაოპერაციო ხარჯებს

N	დასახელება	31.12.2023წ მდგომარეობით
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	158435
2	ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	72085
3	საპროცენტო ხარჯი	33586
4	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	169497
5	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	254286

დირექტორი:

გ. გოქაძე

ბუღალტერი:

თ. ნამგალაძე